# ПРЕДСТАВЬТЕ ЧТО ВЫ ДЕЛАЕТЕ

ამ ბუკლეტში მოცემული სიტუაცია მაქსიმალურად ასახავს რეალურ კონსულტაციას. ის თემები, რომლებიც აქ არის განხილული, ხშირად გვხვდება კონსულტაციის დროს. წაიკითხე ყურადღებით და აღმოაჩინე პასუხები შენთვის საინტერესო კითხვებზე!

ერთ მშვენიერ დღეს, საკონსულტაციო კაბი-
ნეტის კარები შეაღო ახალგაზრდა მამაკაცმა...

-გამარჯობა, შეიძლება თქვენთან?....
-გამარჯობა, მობრძანდით, დაბრძანდით...
-აქ კონსულტაციის მიღება შეიძლება, არა?
-დიახ, ჩვენი ცენტრი ატარებს კონსულტაციებს სამედიცინო და ფსიქოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით...
-მე ჩემს პირად საქმეზე მინდა გაგესაუბროთ...
-თუ საუბრის თემა ეხება ზემოთ აღნიშნულ საკითხებს, მე მზად ვარ მოგისმინოთ, ჩვენი საუბარი კონფიდენციალური იქნება და ამ კედ-
ლებს მიღმა არ გავა...
-დიახ, მითხრეს, მე მეშინოდა, კამერებით ხომ არ იღებენ თქვენთან, მაგრამ ვინც თქვენთან ნამყოფია, ამბობს, რისი გეშინიაო, იქ ყველა დავდივართ და პრობლემა არ გვქონიაო...
-გარწმუნებთ, რომ ჩვენთან ინფორმაციის კონფიდენციალობა და კლიენტის ანონიმურობა გარანტირებულია. მოთავსდით კომფორტულად და განეწყვეთ საუბრისთვის.
-დიახ მადლობთ... მე, აი, რა საკითხთან და-
კავშირებით მოვედი: ჩემმა მეგობარმა გაიკეთა თქვენთან შიდსის ანალიზი, მე მაინტერესებდა მისი პასუხი, ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია...
-იცით, ჩვენთან გაკეთებული სისხლის ანალიზის პასუხი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომელ-

თაც ეს ანალიზი ჩაიტარეს და მათი თანხმობის გარეშე მესამე პირზე გაცემა არ ხდება...
-მე მისი ძალიან ახლო მეგობარი ვარ, ერთად ვცხოვრობთ, მის სახელსაც გეტყვით და გვარსაც...
-უახლოესი ნათესავიც რომ იყოთ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სრულწლოვანი პაციენტის პირადი ინფორმაცია ვერ გაიცემა მისი თანხმობის გარეშე. რაც შეეხება მის სახელს და გვარს, მე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჩვენი კლიენტები ანონიმურობას ანალიზების ჩაბარების დროსაც ინარჩუნებენ, რადგან ყველა ანალიზი ტარდება უნივერსალური კოდის გამოყენებით, რომელიც იცის მხოლოდ კლიენტმა.
-აბა რა ვქნა, ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია...
-თუ მხოლოდ ანალიზის პასუხი გაინტერესებთ, ალბათ, უმჯობესია, დაელაპარაკოთ თქვენს მეგობარს ამ საკითხზე, მაგრამ შეიძლება არც იყოს საჭირო მისი ანალიზის პასუხის ცოდნა. ხომ არ გსურთ დავილაპარაკოთ იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც თქვენ გაწუხებთ?
-მე მერიდება, მაგრამ ალბათ თქვენთან დალაპარაკება ჯობია...
-გისმენთ ყურადღებით.
-მე და ჩემს მეგობარს, რომელიც ახლა ჩემთან ცხოვრობს, გვაქვს სქესობრივი კავშირი, საყვარლები ვართ, მაგრამ ვმალავთ ამას, ხომ გესმით, ისიც კაცია და მეც, და ასეთი ამბები

ხმამაღლა სათქმელი არ არის... თან მას კიდევ ქალებთანაც აქვს ურთიერთობა, ისეთი სამუშაო აქვს, რომ სულ საზღვარგარეთ უწევს სიარული და იქ რას აკეთებს, მე ხომ ვიცი... ამიტომ იყო, რომ ავნერვიულდი, როცა გავიგე, როგორ მომრავლებულა ეს შიდსი საქართველოში... რა ვიცი, ეგება ამანაც მოიტანოს და გადამდოს, ან უკვე გადამდო, რა ვიცი... მცდელობა მქონდა, დავლაპარაკებოდი მაგ თემაზე, მაგრამ სისულელეაო, ამბობდა, მერე უცებ მოვიდა და თქვა, გავიკეთე ანალიზი "თანადგომაშიო", კარგი პასუხი მაქვსო, მაგრამ მე არ მჯერა და სულ მეშინია...

-მოდით, ჯერ პატარა ექსკურსი გავაკეთოთ იმ დაავადების ირგვლივ, რომელიც თქვენ ახსენეთ...

-რაღაცეები ვიცი მაგის შესახებ, მაგრამ დეტალები არ ვიცი...

-კეთილი, მოდით, ერთად გავიხსენოთ ამ დაავადების გადაცემის გზები. აგერ შევხედოთ ამ ჩამონათვალს:

# სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გადაცემის გზები



**სქესობრივი კონტაქტით**
დაუცველი (უპრეზერვატივო) სქესობრივი კონტაქტით;

**დედიდან შვილზე**
ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს.

**სისხლით**
შეუმოწმებელი სისხლის გადასხმისას, არასტერილური სამედიცინო ან კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებისას, სხვ.

-ამრიგად ეს დაავადება გადაეცემა მხოლოდ ამ გზებით და სხვა გზით გადაცემა გამორიცხულია. მოდით, ვნახოთ, რა რისკი შეიძლება გქონდეთ თქვენ ამ ინფორმაციიდან გამომდინარე...
-მხოლოდ სექსი, მეტი არაფერი, სხვის კოსმეტოლოგიურ ინსტრუმენტებს მე არ ვიყენებ და სტომატოლოგთან ან სხვა ექიმთან თუ მივდივარ, იქ აუცილებლად ან ერთჯერადს ვიყენებ ან კარგად გასტერილებულს, მე ეგეთ ამბებში ძალიან ზიზღიანი ვარ და სულ ვამოწმებ. სხვა კონტაქტი სისხლთან არ მაქვს არანაირი, არც ტატუ გამიკეთებია და არც წამალი გამიჩხერია...
-კარგი, ესე იგი სქესობრივი კონტაქტი... რამდენად ხშირად იცვლით პარტნიორებს?
-რამდენიმე წელია მარტო ერთი მყავს, აი, ის ჩემი მეგობარი და სხვასთან არ ვყოფილვარ. მასთან პრეზერვატივს არ ვიყენებ, არ მომწონს რეზინით სექსი, ამის გამო ვნერვიულობ სწორედ, მე ხომ ვიცი, მაგას ბევრი პარტნიორი ჰყავს, ქალი, კაცი, ვინც მოსწონს, ყველასთან დადის, მაგრამ მე მეუბნება, შენს გარდა არავისთან დავდივარო...
-ეგება თქვენი ვარაუდი მხოლოდ ეჭვია და ის თქვენი ერთგულია?
-არა, ნამდვილად ვიცი, მაგაში დარწმუნებული ვარ, სხვებმაც მითხრეს...
-თუ გქონიათ ადრე რაიმე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციისთვის დამახასიათებელი

ნიშნები?
-რა ვიცი, სიფილისის, ტრიპერის ან ტრიქომონიაზის ან ასეთების? რა ნიშნები უნდა ყოფილიყო?
-მოდით გადავხედოთ ამ ჩამონათვალს:

## სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დამახასიათებელი ძირითადი სიმპტომები (ნიშნები):

- გამონაყარი სასქესო ორგანოების მიდამოში;
- უჩვეულო გამონადენი სასქესო ორგანოებიდან;
- წვა, ტკივილი შარდვისას;
- სასქესო ორგანოების შესიება, სიწითლე;
- ქავილი სასქესო ორგანოების მიდამოში.

-არა, მსგავსი არაფერი მქონია...
-ოდესმე თუ ჩაგიტარებიათ შემოწმება, ანალიზები სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით?
-არა, არ დამჭირვებია, არაფერი მაწუხებდა...
-თქვენს პარტნიორს თუ ჰქონია ამ საკითხთან შეხება?
-არა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის არ უთქვამს, და ნიშნებიც ეგეთი არაფერი ჰქონია... ერთი ვიცი, ჰეპატიტი C აქვს, მე მგონი, მაგის გამო პოლიციაში "დაბრაკეს", მაგრამ ეგ ხომ არ გადადის სექსით?
-ჰეპატიტი C კლასიფიკაციით მიეკუთვნება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს, მისი გადაცემის ალბათობა სქესობრივი გზით საკმაოდ დაბალია, თუმცა არაა გამორიცხული. თუ გქონიათ მცირე სისხლდენა ან ტრავმისთვის დამახასიათებელი ტკივილი ან დისკომფორტი სქესობრივი აქტის დროს?
-ნუ, ხდება ხანდახან, მე პასიური პარტნიორი ვარ და ხანდახან დისკომფორტს განვიცდი, პატარა სისხლიანობაც მქონია, მაგრამ ეგ ბუასილის გაღიზიანების ბრალია, მანდ რა რისკი შეიძლება იყოს?
-ჰეპატიტი C საკმაოდ იოლად გადაეცემა სისხლით. პატარა ტრავმების, თუნდაც მიკროტრავმების გაჩენა ზრდის მისი გადაცემის ალბათობას, განსაკუთრებით ჰემოროიდალური

კვანძების (ბუასილის) გასკდომის დროს.

-ესე იგი, შეიძლება ჰეპატიტი გადამდებოდა?

-ნუ აღელდებით, მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ თუ არსებობს ინფიცირების რაღაც რისკი, შეიძლება სიტუაციის გაანალიზება და გარკვეული ქცევის შეცვლა რისკის შესამცირებლად.

-მაგალითად, რა შეიძლება გავაკეთო?

-იქიდან გამომდინარე, რომ თქვენ აღნიშნავთ სარისკო დაუცველ სქესობრივ კავშირს, ქცევის შეცვლა იქნება პრეზერვატივის გამოყენება ნებისმიერი სქესობრივი კავშირის დროს. ეს შეამცირებდა რისკს, როგორ ფიქრობთ?

# დაიცავი შენი თავი

-ლოგიკურია, რა თქმა უნდა... მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს პრეზერვატივები რაღაც მალე შრება და უსიმოვნო შეგრძნებებს იწვევს.

-ამ დროს რეკომენდებულია ეგრეთ წოდებული ლუბრიკანტის, ანუ საცხის გამოყენება...

-აა, გამიგია, აფთიაქებშიც იყიდება... მოვსინ-ჯავ...

-ეხლა ორიოდე სიტყვით პროფილაქტიკური ანალიზების შესახებ. როდესაც არსებობს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებით დაინფიცირების რისკი, რეკომენდებულია პერიოდული შემოწმება — ანალიზების ჩატარება ამ დაავადებებზე...

-ისე სისხლის ანალიზი გამიკეთებია და არაფერი აღმომაჩნდა...

-რა ანალიზი გაიკეთეთ?

-აი, რაღაც ლეიკოციტები და ეგეთები... ბევრი რამე იყო ჩემოთვლილი... ფილტვების ანთება მქონდა, სისხლის ანალიზი დამინიშნეს და გავიკეთე...

-სავარაუდოდ, თქვენ გაიკეთეთ ეგრეთ წოდებული სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც მაჩვენებელია ორგანიზმში მიმდინარე მწვავე

ცვლილებების, მაგრამ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების დიაგნოსტიკას ეს ანალიზი ვერ ახდენს. არსებობს 30-ზე მეტი სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია, მათ შორის ყველაზე გავრცელებული, აი, ამ პლაკატზეა ასახული:

**ყველაზე მეტად გავრცელებული სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები:**

- სიფილისი (ათაშანგი)
- გონორეა (ტრიპერი)
- ტრიქომონიაზი
- ქლამიდიოზი
- გარდნერელოზი
- გენიტალური ჰერპესი
- პაპილომავირუსული ინფექცია (მახვილწვეტიანი კონდილომები)
- გენიტალური კანდიდოზი
- B და C ვირუსული ჰეპატიტები
- აივ ინფექცია/შიდსი

-ამათ ყველას ერთი სისხლის ანალიზით გავიკეთებ?
-არა, თითოეულ დაავადებას სპეციფიური ანალიზი სჭირდება, თანაც ყველა სისხლით არ დიაგნოსტირდება, ზოგს ნაცხის აღევა სჭირდება, ზოგს- შარდის ჩაბარება.
-შიდსზე ანალიზი ცალკე კეთდება?
-დიახ, აივ ინფექცია/შიდსის გამომწვევი ვირუსის აღმოსაჩენად კეთდება სისხლის სპეციალური ანალიზი...
-რა კარგია, რომ მოვედი თქვენთან... შეიძლება ხვალ მოვიდე და სისხლი ჩაგაბაროთ შიდსზე და ჰეპატიტებზე?
-რა თქმა უნდა, შეიძლება. მობრძანდით, კიდევ ერთხელ დავილაპარაკოთ უფრო კონკრეტულად ამ დაავადებაზე და ანალიზიც გავიკეთოთ. ანონიმურობა და კონფიდენციალობა გარანტირებულია.
-და, აი, ამ სხვა დაავადებებზე შეიძლება დავილაპარაკოთ რაღაც შევშინდი...
-დავილაპარაკოთ, მე შევეცდები მაქსიმალურად სრულად მოგაწოდოთ ინფორმაცია ამ დაავადებებზე. რაც შეეხება შეშინებას, მერწმუნეთ, შიშის დაძლევის საუკეთესო გზაა ინფორმაციის ფლობა და პერიოდული შემოწმება, ანალიზების ჩატარება, რათა იყოთ დაცული და დაიცვათ თქვენი ახლობელი ადამიანები.
-დიდი მადლობა, აუცილებლად მოვალ...
-გელოდებით, კარგად ბრძანდებოდეთ!

TANADGOMA
თანადგომა

**კონსულტაციებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ:**
**საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა"**


**თბილისი: ა. ქურდიანის №21 ტელ: 25 18 19**
**ბათუმი: ვ. გორგასალის №113 ტელ: 7 42 13**
**ქუთაისი: ოცხელის№2 ტელ: 6 50 36**